ჯეოსელი

ხელშეკრულება №
მობილური საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ კორპორაციული აბონენტებისათვის

ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი: 1 სექტემბერი, 2011წ.

ერთი მხრივ **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯეოსელი“**, შემდგომში „მომსახურების მიმწოდებელი“ ან "მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი რეალიზაციის განყოფილების დირექტორის კონსტანტინე ოდიკაძის სახით და მეორე მხრივ 183–ე საჯარო სკოლა, შემდგომში „მომხმარებელი“ ან "აბონენტი", წარმოდგენილი მისი სკოლის დირექტორის მანანა ბასიაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „მომსახურების მიმწოდებელი“ გადასცემს „მომხმარებელს“ საავანსო და/ან საკრედიტო სისტემის სიმ-ბარათებს, ჩართავს მას "ჯეოსელის" მობილურ სატელეფონო ქსელში და უზრუნველყოფს აღნიშნული მობილური ქსელით სარგებლობას ქსელის დაფარვის ზონის მოქმედების ტერიტორიაზე (შემდგომში „მომსახურება“).

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ტარიფების ნუსხა განსაზღვრულია №1 დანართში.

1.3. საკრედიტო და საავანსო სისტემის ნომრების "მომხმარებელზე" განპიროვნება ხდება ამ უკანასკნელის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რის შემდეგ "მიმწოდებელი" არეგისტრირებს ასეთ ნომრებს თავის სისტემაში; აგრეთვე შემდგომში ყოველი ახალი ნომრის დამატება/გაუქმება და/ან დროებითი შეჩერება ხდება "შემსყიდველის" წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. „მომხმარებელი“ ვალდებულია:

2.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით დადგენილი წესით, დათქმულ ვადებში და დანართ №1-ში აღნიშნული ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს მომსახურების საფასური "მიმწოდებლის" გაყიდვების და მომსახურების ოფისებში, მის რეგიონალურ დილერებთან, "მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით, ბარათების შეყვანის მეშვეობით ან გადახდის სხვა ალტერნატიული საშუალებებით.

2.1.2. ყოველი ახალი ნომრის დამატებისას, მიუხედავად იმისა თვის რომელ დღეს მოხდება დამატება, გადაუხადოს "მიმწოდებელს" დანართი №1-ში აღნიშნული ფიქსირებული გადასახადი ყოველ ასეთ ახალ ნომერზე.

2.1.3. ერთი კვირის განმავლობაში წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მის რეკვიზიტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

2.1.4. დაუყოვნებლივ შეატყობინოს „მიმწოდებელს“ სიმ-ბარათის დაკარგვის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში "მომხმარებლის" ნომრიდან განხორციელებულ საუბრებზე გადახდას აწარმოებს თავად „მომხმარებელი“, მიუხედავად იმისა, თუ რეალურად ვინ განახორციელა ეს საუბრები და ვინ მიიღო მომსახურება.

2.1.5. არ გაასხვისოს, არ გააქირაოს და/ან სხვაგვარად არ დატვირთოს ამ ხელშეკრულებით მისთვის გადაცემული ნომრები.

2.2. „მომხმარებელი“ უფლებამოსილია:

2.2.1 მოითხოვოს მომსახურეობის შეჩერება გარკვეული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 3 (სამი) თვისა, მისთვის ამ ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემულ ერთ ან რამდენიმე ნომერზე.

2.2.2 მოითხოვოს ნომრების დამატება.

2.2.3 მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ნომრის ახალი ნომრით ჩანაცვლება.

2.2.4 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარისხიანი მომსახურების უწყვეტი და შეუფერხებელი მიწოდება.

2.2.5 იმ შემთხვევაში, თუ "მომხმარებელს" "მიმწოდებლის" მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი მომსახურების უწყვეტი, შეუფერხებელი და ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიადგა რაიმე სახის ზიანი, მას უფლება აქვს მოითხოვოს ასეთი ზიანის ანაზღაურება. ზიანი სათანადოდ უნდა იყოს შეფასებული აუდიტორული კომპანიის მიერ, ხოლო თავის

მხრივ "მიმწოდებელსაც" აქვს უფლება შეფასებული ზიანი შეამოწმებინოს მის მიერ დასახელებული აუდიტორულ კომპანიას. ზიანის ოდენობაზე მხარეთა უთანხმოების შემთხვევაში მხარეები მიმართავენ მე-5 მუხლით დათქმულ წესს.

2.3. „მომსახურების მიმწოდებელი" ვალდებულია:

2.3.1 ჩართოს „მომხმარებელი" "ჯეოსელის" მობილურ სატელეფონო ქსელში და უზრუნველყოს მის მიერ აღნიშნული სატელეფონო ქსელით სარგებლობა.

2.3.2 გადასცეს "მომხმარებელს" დროებით სარგებლობაში, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნომრები.

2.3.3 დროულად აღმოფხვრას მომსახურებაში არსებული ხარვეზები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.3.4 უზრუნველყოს სრულყოფილი და ხარისხიანი მომსახურება, ხოლო ხარვეზების არსებობის შემთხვევაში უმოკლეს გონივრულ ვადებში მიიღოს შესაბამისი ზომები.

2.3.5 მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს "მომხმარებელს" ინფორმაცია "ჯეოსელის" ტარიფების, გადახდის წესების, საგადასახადო ოფისების მდებარეობის, მათი მუშაობის საათებისა და „მომხმარებლისათვის" მომსახურებასთან დაკავშირებული საჭირო სხვა საკითხების შესახებ.

2.3.6 მომსახურების წესისა და პირობების ნებისმიერი ცვლილების თაობაზე შეატყობინოს "მომხმარებელი" მათ ძალაში შესვლამდე სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

2.3.7 უზრუნველყოს მომხმარებლისათვის ხარისხიანი მომსახურების უწყვეტი, შეუფერხებელი მიწოდება.

2.3.8 უზრუნველყოს მომსახურების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

2.3.9 უზრუნველყოს შეთავაზებული მომსახურების ადეკვატურობა მიღებულთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები შეუსაბამობის დროული, ჯეროვანი, სრული აღკვეთის მიზნით.

2.3.10 მიიღოს შესაბამისი ზომები მომსახურების მრავალფეროვნებისა და ხარისხის გაზრდისათვის.

2.3.11 საიდუმლოდ დაიცვას ინფორმაცია "მომხმარებლის" შესახებ, ასევე "ჯეოსელის" მობილური ქსელის მეშვეობით "მომხმარებლის" მიერ გადაცემული ინფორმაცია. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის შესახებ არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ოპერატიული საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანოები ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

2.4. „მომსახურების მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

2.4.1. საავანსო თანხის ამოწურვისთანავე ყოველ ასეთ ნომერზე შეზღუდოს გამავალი ზარი "მომხმარებლის" წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

2.4.2. წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეზღუდოს გამავალი ზარი საკრედიტო სისტემის ნომრებზე "მომხმარებლის" მიერ ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის არშესრულების შემთხვევაში.

2.4.3. №1 დანართში აღნიშნული ტარიფები შეცვალოს სტანდარტული ტარიფებით (რომლებიც იმ მომენტისათვის ოფიციალურად გამოქვეყნებულია "ჯეოსელის" ვებ-გვერდზე www.geocell.ge) იმ შემთხვევაში თუ "მომხმარებელზე" განპიროვნებული (რეგისტრირებული) ნომრების რაოდენობა შემცირდება 40%-ით ან 2.2.1 პუნქტში აღნიშნული ნომრის "დროებითი შეჩერების" ვადა გადააჭარბებს სამ თვეს.

2.4.4. "მომხმარებლის" მიერ 3.2 პუქტით დათქმული გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში დააკისროს მას პირგასამტეხლო გადასახადელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს გადასახდელი თანხის 2%-ისა.

3. მომსახურების საფასურის გადახდის წესი

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს სამას სამოც (თანხა სიტყვიერად) ლარს.

3.2. საკრედიტო სისტემის ნომრებზე მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდება საანგარიშო პერიოდზე "მიმწოდებლის" მიერ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურის და დეტალური ანგარიშის მიხედვით.

3.3. საკრედიტო სისტემის ნომრებზე "მომხმარებელი" "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორებას მოახდენს 3.1 პუქტში აღნიშნული დოკუმენტაციის და მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

4. ფორს-მაჟორული გარემოებები და დაზიანების აღმოფხვრის ვადები

4.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო სტიქიური უბედურებებით, ხანძრით, სახელმწიფოს მიერ მიღებული შემზღუდველი აქტებით ან სხვა ფორს-მაჟორული გარემოებებით.

4.2. ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ მხარეებმა შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში უნდა აცნობონ ერთმანეთს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზისა და შესრულების მოსალოდნელი თარიღების მითითებით.

4.3. "მომსახურების მიმწოდებელი" ვალდებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ან მისი ვებ-გვერდის (www.geocell.ge) მეშვეობით გააფრთხილოს "აბონენტი" ქსელში მომხდარი ავარიის, გეგმიური და საგანგებო სამუშაოების, აგრეთვე სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებების შესახებ, რაც შეუძლებელს ხდის მომსახურების მიწოდებას. იგი ვალდებულია აგრეთვე შეატყობინოს შეწყვეტის მიზეზისა და ხანგრძლივობის თაობაზე.

4.4. დაზიანებების იმ კატეგორიისათვის, რომლის გამომწვევი მიზეზია სხვა პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, დაზიანების აღდგენის კანონით დადგენილი ვადები არ მოქმედებს. მსგავსი დაზიანებები აღდგენილი უნდა იქნას სხვა პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული დაზიანების გამოვლენიდან 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) საათის განმავლობაში.

4.5. ფორს-მაჟორული სიტუაციების გამო მომხდარი დაზიანებები ცალკე აღირიცხება და ის მობილური ქსელის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუარესებად არ ჩაითვლება.

4.6. დაზიანებებში არ ჩაითვლება სატელეფონო კავშირის შეწყვეტა მობილური ქსელის გემიური გაზომვების გამო, რაც არ უნდა აღემატებოდეს 3 (სამი) საათს.

5. დავების გადაწყვეტა

5.1 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა პირველ რიგში უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

5.2 თუ დავა შეთანხმებით ვერ იქნა გადაწყვეტილი ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის განსახილველად მიმართოს:

ა) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას;

ან

ბ) საქართველოს სასამართლოს;

6. დასკვნითი დებულებები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მის პირველ გვერდზე მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია ურთიერთშეთანხმებით, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის გაფორმების გზით.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია ხელშეკრულებასთან ერთად.

6.4. ყველა წერილობითი შეტყობინება მხარეთა შორის გაიგზავნება ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ მათ იურიდიულ მისამართებზე. იურიდიული მისამართის შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან შეატყობინონ ერთმანეთს ამგვარი ცვლილებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში. შეტობონებები ასევე შეიძლება გაგზავნილი იქნეს ელექტრონული ფოსტის მისამართზე, კერძოდ:

- "მიმწოდებელთან" გაგზავნის შემთხვევაში: corporate@geocell.com.ge
- "მომხმარებელთან" გაგზავნის შემთხვევაში: school183@gmail.com

6.6. ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მეორე მხარისათვის 2 (ორი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების გზით.

6.5. ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მეორე მხარისთათვის შეტყობინების გაგზავნის გზით თუ მეორე მხარე:

ა) გამოცხადდა გაკოტრებულად ან გადახდისუუნაროდ;

ბ) გამოაცხადა იძულებითი ან ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია;

გ) შეწყვიტა საქმიანობა;

დ) თუ მეორე მხარე სისტემატიურად არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს;

6.7. წინამდებარე ხელშეკრულება იმართება საქართველოს კანონმდებლობით, შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცა "მომხმარებელს", ხოლო მეორე – "მომსახურების მიმწოდებელს".

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

7.1 მომსახურების მიმწოდებელი

შპს "ჯეოსელი"

ს/ნ: 203 841 940
ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქ. №3
სს "ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია" (ც/ფ)
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა: GE64VT6600000444467944

კონსტანტინე ოდიკაძე
რეალიზაციის განყოფილების
დირექტორი

7.2 მომხმარებელი

სსიპ 183–ე საჯარო სკოლა

ს/ნ 203851386
ქ. თბილისი, ღამბაშიძის ქ. № 3
სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE 22
ა/ა: 119625900

მანანა ბასაშვილი
სკოლის დირექტორი

სერვისები	ტარიფები*
სიმ-ბარათი	0
ორნომრიანი სიმ-ბარათი	0
როუმინგის დეპოზიტი	0
სააბონენტო გადასახადი	0
ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადი მომხმარებლის შიდა ზარებზე	3.00
ერთი წუთი ჯეოსელზე და ლაი ლაიზე	0.01**
ერთი წუთი სხვა ადგილობრივ ოპერატორებთან და ლოკალურ ზარებზე	0.12***
მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS)	0.06
მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS) ორგანიზაციის შიდა ნომრებზე	0.02
საერთაშორისო ზარები (დეტალური ინფორმაცია ქვეყნების მიხედვით იხილეთ ვებ-გვერდზე www.geocell.ge)****	0.70 -0.90-1.91
ნომრის გადაფორმება კერძო პირიდან ორგანიზაციაზე	0
ნომრის გადაფორმება ორგანიზაციიდან კერძო პირზე	0
სიმ-ბარათის შეცვლა	0
WAP სერვისის აქტივაცია	0
GPRS სერვისის აქტივაცია	0
GPRS 1 მეგაბაიტი	0.70
MMS სერვისის აქტივაცია	0
MMS-ის ერთი გზავნილი	0.15
ვიდეო ზარის და მობილური ტელევიზიის სერვისის აქტივაცია	0
ვიდეო ზარის ერთი წუთი	0.288
მობილური ტელევიზიის ერთი წუთი	0.10
როუმინგის აქტივაცია (თურაიას ჩათვლით)	0
როუმინგის შემომავალი ზარი	1.00
დაფარული ნომრის სერვისის აქტივაცია	0
ჯეოსელის მენიუს აქტივაცია	0
გამოტოვებული ზარების შეტყობინების აქტივაცია	0
ნომრის ამომცნობის სერვისის აქტივაცია	0
ბალანსის შემოწმება	0
ხმოვანი ფოსტის აქტივაცია	0
დეტალური ამონაბეჭდი (დეტალური გაიცემა მხოლოდ "მომხმარებლის" წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე)	0
დამრგვალება	1წმ

* ტარიფები მოცემულია ლარში, ყველა გადასახადის ჩათვლით
** ტარიფი მოქმედებს მეორე წუთიდან, პირველი წუთის ღირებულებაა 0.24 ლარი
*** ტარიფი მოქმედებს მეორე წუთიდან, პირველი წუთის ღირებულებაა 0.24 ლარი
*** 40%-იანი ფასდაკლება ყველა მიმართულების საერთაშორისო ზარზე.

Geocell LLC 203841940

კონსტანტინე ოდიკაძე
რეალიზაციის განყოფილების
დირექტორი

№183 საჯარო სკოლა
№183 PUBLIC SCHOOL
LEPL TBILISI
203851386
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

ანანა ბასიაშვილი
სკოლის დირექტორი